

მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება

მუსლიმი თემის მიმართ:

ადიგენისა და დმანისის მაგალითზე

ქრისტინე ჩხვიმიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო*

*უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე*

*მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციოლოგიის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქრისტინე მარგველაშვილი,

დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2020

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქრისტინე ჩხვიმიანი

20.01.2020

## აბსტრაქტი

საქართველო, როგორც სეკულარული სახელმწიფო, კონსტიტუციურად აცხადებს რელიგიის სრულ თავისუფლებას. მიუხედავად ამისა, დღეისთვის აშკარაა ღირებულებათა კონფლიქტი რელიგიის თავისუფლების რეალიზაციისას. ჩვენ ხშირად ვხდებით აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებული ვნებათაღელვის, კამათისა და კონფლიქტების მომსწრენი.

საქართველო ერთი შეხედვით პლურალისტულ სახელმწიფოდ მოიაზრება, თუმცა ქვეყანაში მართლმადიდებლური ქრისტიანობა სარგებლობს აშკარა უპირატესობით სხვა რელიგიური კონფესიების მიმართ. ეს უპირატესობა გამოიხატება სახელმწიფოს მიერ მინიჭებულ უფლებამოსილებასა და ძალაუფლებაში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულების შესწავლა მუსლიმი თემის მიმართ ადიგენისა და დმანისის მაგალითზე. აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში გამოყენებულ იქნა სამაგიდე კვლევის მეთოდი, რომლის ფარგლებში მოხდა ნაშრომის საკითხთან დაკავშირებული თეორიული მასალის, ჟურნალ-გაზეთების, ოფიციალური განცხადებებისა და მას-მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის შესწავლა და ანალიზი.

თვისებრივი კვლევის მეთოდის, კერძოდ სიღრმისეული ინტერვიუს დახმარებით მოხდა სამი კატეგორიის რესპონდენტთა აზრის შესწავლა: მართლმადიდებელი სასულიერო პირების, მუსლიმური თემისა და ექსპერტების.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ადიგენის რაიონში, სადაც შეინიშნება რელიგიური კონფლიქტების მაღალი მაჩვენებელი, არსებული სიტუაცია შესაძლოა გამოწვეული იყოს მოსახლეობის მხრიდან არასწორად აღქმული რელიგიური

დოგმებით, ასევე სასულიერო პირების ხისტი დამოკიდებულებით მუსლიმების მიმართ, რომელთაც სურთ საკუთარი დომინაციის გაზრდა ადიგენის რაიონში.

კვლევის მიგნებად შეიძლება ჩაითვალოს რესპონდენტების პასუხებზე დაყრდნობილი მოსაზრება, რომ ადიგენში არსებული დამაბული რელიგიური ფონის ამხსნელი მიზეზია იქ მცხოვრების მუსლიმების ეთნიკურობა. ვინაიდან ადიგენში უმეტესად ცხოვრობენ ეთნიკურად ქართველი მუსლიმები, მათ მიმართ არსებობს მეტი მიუღებლობა როგორც მოსახლეობის, ისე მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან.

მიუხედავად მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალურ კონტექსტში არსებული ტოლერანტული დამოკიდებულებისა მუსლიმი თემის მიმართ, მათ შესისხლხორცეული აქვთ დომინანტური რელიგიის პრივილეგირებული სტატუსი, რის შედეგადაც, მათი მხრიდან ნებით თუ უნებლიედ ხდება მუსლიმი თემის უფლებების შეზღუდვა.

**საძიებო სიტყვები:** მართლმადიდებელი ეკლესია, მუსლიმი თემი, ადიგენი, დმანისი, ტოლერანტობა.



## ABSTRACT

Georgia, as a secular state, constitutionally declares complete freedom of religion. Nevertheless, the conflict of values in the realization of freedom of religion is evident today. We often become overwhelmed by the passion, arguments and conflicts surrounding this fact.

Georgia is perceived as a pluralistic state, but Orthodox Christianity enjoys a clear advantage over other religious denominations. This advantage is expressed in the authority and power conferred by the State.

The purpose of the present paper is to study the attitude of the Orthodox Church towards the example of Adigeni and Dmanisi towards the Muslim community. This paper used a desk research method to study and analyze theoretical material, journals, official statements and information disseminated by the mass media.

The qualitative research method, namely in-depth interviews, was used to study the opinion of three categories of respondents: Orthodox clergy, Muslim community and experts. The study found that in the Adigeni region, where religious conflicts are high, the situation may be caused by misunderstood religious dogmas, as well as by the clerical attitude of Muslims seeking to increase their dominance in the Adigeni region and the conversion of Muslims to Christianity;

Based on the respondents' answers, the findings suggest that the ethnicity of the Muslims living in Adigeni reflects the reason for the tense religious background in Adigeni. Since most of the ethnic Georgian Muslims live in Adigeni, there is more unacceptability towards them both from the population and from the Orthodox Church

Despite their tolerant attitude towards the Muslim community in the official context of the Orthodox Church, they are privileged to have the dominant religion privileged, thereby voluntarily or unintentionally restricting the rights of the Muslim community.

Search Keyword: Orthodox Church, Muslim Community, Adigeni, Dmanisi,  
Tolerance.

## მადლობა

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს, ქრისტინე მარგველაშვილს, რომლის დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა აღნიშნული ნაშრომის შექმნა. მან მნიშვნელოვანი დახმარება აღმომიჩინა ნაშრომზე მუშაობის ყველა ეტაპზე. ასევე უღრმესი მადლობა თითოეულ რესპონდენტს, რომლებმაც დრო დამითმეს, კვლევაში მიიღეს მონაწილეობა და გამოირჩეოდნენ გულწრფელობით.